

ბორჯომის მუნიციპალიტეტი



ქ. ბორჯომში გოგებაშვილისა და რაზმაძის ქუჩების რეაბილიტაციის
საპროექტო—სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურების გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული
ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ბორჯომი 2014 წელი

1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) შემდეგი ტექნიკური დოკუმენტაცია:

- ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი #1-ის მიხედვით;
- ბ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი დანართი #2-ის მიხედვით;
- გ) ინფორმაცია გამოცდილების შესახებ უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში დანართი #3-ის მიხედვით;

2. მომსახურების გაწევი ვადა

- ა) მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30 დღის ვადაში.

3. ანგარიშსწორების პირობები

- ა) ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- ბ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად ფაქტიურად წარმოდგენილი საპროექტო დიკუმენტაციისა და საექსპერტო დაკვნის მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.
- გ) წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;

4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტებლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % პროცენტის ოდენობით.
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტებლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

- ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში (2012,2013) გაწეული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სახის (საავტომობილო გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან/ და რეაბილიტაცია) არანაკლებ 50000 ლარის ღირებულების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;
- ბ) ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იყოს დანართი #3-ის შესაბამისად.

გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკურლების ასლები ან/და სამუშაოების შესრულების აქტების ასლები);

6. სატენდერო წინადადების ფასი

- ა) სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილ უნდა იყოს **დანართი #2**-ის მიხედვით;
- ბ) ფასებში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.
- გ) სატენდერო წინადადების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 18 000 ლარს.
- დ) ჩასატარებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 600 000 ლარს.

7. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) მიმწოდებელმაუნდაუზრუნველყოსტენდერში მითითებულ ობიექტზე გასვლა და საკვლევაძიებო სამუშაოების ჩატარება, ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა—დაზუსტება და შესაბამისად საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და შემსყიდველისათვის მიწოდება, როგორც ბეჭდვური (3 ეგზემპლიარი) ასევე ელექტრონული ფორმით. ნახაზები უნდა იყოს PDS ფორმატში და თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მბ-ს.
- ბ) მიმწოდებელმა შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.
- გ) სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილებით.
- დ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პროექტი შესრულება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები) და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით.
- ე) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება.
- ვ) მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სრული საპროექტო დოკუმენტაციის საექსპერტო დასკვნის მომზადება. საპროექტო დოკუმენტაცია და საექსპერტო დაკვნა მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ერთდოულად.

8. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

8.1 ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენ ქ. ბორჯომში გოგებაშვილისა და რაზმაძის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

8.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

ა) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქ. ბორჯომში გოგებაშვილის და რაზმაძის ქუჩებზე (სავარაუდოდ 2000 გ/მ) ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის, რაზმაძის ქუჩაზე რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობა (120გ/მ) სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

ბ) მიმწოდებელმა საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს ქუჩაზე არსებული ჭების გასწორება საპროექტო ნიშნულამდე, ქუჩის ხელოვნური ნაგებობებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა.

გ) საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- განმარტებითი ბარათი (უნდა შეიცავდეს ობიექტის არსებული მდგომარეობის დეტალურ აღწერას);
- სამუშაოების მოცულობათა უწყისი;
- სიტუაციურ გეგმაზე ნიშნულების დატანა;
- შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა;
- არსებული სიტუაციური ფოტომასალა (ციფრული ფორმატით);
- განივი და გრძივი ჭრილები;
- ტექნიკური ნახატები;
- მშენებლობის ორგანიზაცია;

9 დამატებითი ინფორმაცია

ა) სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. ბორჯომი, მესხეთის #5 . საკონტაქტო პირი: მაია მახარაშვილი, ინგა მჭედლიძე, ტელ: +995 367 222013

10. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 2014 წ.

ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ‐შესყიდველი‐)
და მეორეს მხრივ _____

(მიმწოდებლის დასახელება და რევიზიტები)

(შემდგომში ‐მიმწოდებელი‐)შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერიქ. ბორჯომში გოგებაშვილისა და რაზმაძის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხით:

(
ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში ‐ხელშეკრულების ღირებულება‐).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომ ‐ ხელშეკრულება‐) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომ ‐შემსყიდველი‐) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ‐მიმწოდებელი‐ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უწევს მომსახურებასსახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ‐დღე‐, ‐კვირა‐, ‐თვე‐ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. ბორჯომში გოგებაშვილისა და რაზმაძის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომახურების დეტალური აღწერა მოცემულია ტექნიკურ პირობებში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.4. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

6. მომსახურების გაწევის პირობები

6.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30 დღის ვადაში.

6.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მომსახურების გაწევის ვადაში მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება ერთიანად ინსპექტირების ჯგუფის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარებას აქტის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გასაწევადსახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად. რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

8.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

8.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.4 წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;

9. ფასები

9.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. უფლებების გადაცემა

- 11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. მხარეთა უფლება–მოვალეობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

- მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია

13.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

- 13.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

- 13.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. თუ მიმწოდებელი:

- ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვადაში;
- ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე დაკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
- 14.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმდება აგრეთვე:
- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას;
- ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

- 14.3. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

- 14.4. იმ შემთხვევევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტებლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

- 14.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

- 15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

- 15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16. დაუძლეველი ძალა

- 16.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ;

- 16.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

- 16.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. გამოყენებული სამართალი

18.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

19.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20. შეტყობინება

20.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის ----- ჩათვლით

22.2. ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 3 (სამი) პირი შემსყიდველთან.

დანართი #1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

საბანკო რეკვიზიტები:

პრეტენდენტი _____

ფასებისცხრილი

(პრეტენდენტის დასახელება)

საპროექტო მომსახურების დასახელება	გასაწევი მომსახურების ღირებულება, ლარი	მომსახურების გაწევის ვადა
1	2	3
ქ.ბორჯომში გოგებაშვილისა და რაზმაძის ქუჩების რეაბილიტაციის საპროექტო— სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა		

პრეტენდენტი —————

დანართი №3

ინფორმაციაპრეტენდენტის გამოცდილებისშესახებ

N	მომსახურებისდასახელება (თითოეულიობიერტისმი ხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	გაწეული მომსახურებისღი რებულება
1				
2				
...				
ჯამი(2012 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი(2013 წელი)				
ჯამი				

პრეტენდენტისხელმოწერა _____ ბ.ა